საქართველოს მთავრობის

დადგენილება №71

2013 წლის 28 მარტი

ქ. თბილისი

სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის დებულების დამტკიცების თაობაზე

მუხლი 1

„სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, დამტკიცდეს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანდართული დებულება.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2013 წლის 25 მარტიდან.

პრემიერ-მინისტრი **ბიძინა ივანიშვილი**

სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის დებულება

თავი I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1

1. სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური (შემდგომში - სამსახური) არის საქართველოს მთავრობის უშუალო დაქვემდებარებაში არსებული აღმასრულებელი ხელისუფლების სპეციალური დანიშნულების გასამხედროებული დაწესებულება, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, უზრუნველყოფს უმაღლესი საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების თანამდებობის პირთა და საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული ნუსხით განსაზღვრულ პირთა და ობიექტთა დაცვას მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან.

2. საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების შესაბამისად, სამსახური უფლებამოსილია, ითანამშრომლოს საზღვარგარეთის შესაბამის სამსახურებთან.

3. თავისი ფუნქციების განხორციელებისას სამსახური წარმოადგენს სახელმწიფოს.

4. სამსახური პასუხისმგებელია საქართველოს პრემიერ-მინისტრის წინაშე, რომელიც კანონმდებლობით დადგენილი წესით ახორციელებს მის სამსახურებრივ კონტროლს.

5. სამსახურის იურიდიული მისამართია ქ.თბილისი, 9 აპრილის ქ. N2.

მუხლი 2

1. სამსახურის დაფინანსების წყაროებია საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი და კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები.

2. სამსახურს აქვს დასრულებული ბალანსი, ანგარიში ხაზინაში და ხარჯთა ნუსხა.

3. სამსახურს აქვს ბეჭედი საქართველოს სახელმწიფო გერბის გამოსახულებით და თავისი სახელწოდების აღნიშვნით, ნამდვილი და პირობითი დასახელება, აგრეთვე სამსახურის გერბი, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს სამსახურის თანამდებობის პირთა და თანამშრომელთა

სავიზიტო ბარათებზე, სამსახურის ოფიციალურ დოკუმენტაციებზე, სამსახურის სხვა ბეჭდვით გამოცემებსა და სუვენირებზე.

მუხლი 3

1. სამსახურის საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლებია: საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს საერთაშორისო სამართლებრივი აქტები, „სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონი, საქართველოს მთავრობის დადგენილებები და განკარგულებები, საქართველოს პრემიერ-მინისტრის და სამსახურის უფროსის ბრძანებები, საქართველოს სხვა შესაბამისი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე სამართლებრივი აქტები.

2. სამსახურის საქმიანობა ეფუძნება ერთმმართველობისა და ცენტრალიზების პრინციპებს.

3. სამსახურის შემადგენლობაში შედის აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების დანაყოფები ამ დებულებით განსაზღვრული სტრუქტურის შესაბამისად.

თავი II. სამსახურის საქმიანობის სფერო, ძირითადი ამოცანები და კომპეტენცია

მუხლი 4

სამსახურის საქმიანობის სფეროა დასაცავ პირთა და დაცვის ობიექტთა უსაფრთხოების მიზნით დაცვითი, ოპერატიული, ოპერატიულ-სამძებრო და კანონმდებლობით დაშვებული სხვა სპეციალური ღონისძიებების განხორციელება, კომპეტენციის ფარგლებში კონტროლისა და საკუთარი უსაფრ-თხოების უზრუნველყოფა.

მუხლი 5

სამსახურის ძირითად ამოცანებს განეკუთვნება:

ა) საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული ნუსხით განსაზღვრული უმაღლესი რანგის პოლიტიკური თანამდებობის პირების და ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების ხელმძღვანელი პირების დაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა;

ბ) საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული ნუსხით განსაზღვრული საქართველოს ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების განკარგულებაში არსებული ადმინისტრაციული შენობა-ნაგებობების დაცვითი ღონისძიებებით უზრუნველყოფა;

[ბ) საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული ნუსხით განსაზღვრული საქართველოს ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების განკარგულებაში არსებული ადმინისტრაციული შენობა-ნაგებობების, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური წარმომადგენლობების და წარმომადგენლობების ხელმძღვანელთა რეზიდენციების დაცვითი ღონისძიებებით უზრუნველყოფა; (*ამოქმედდეს 2024 წლის 1 იანვრიდან*)]

გ) საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილების საფუძველზე, საქართველოში ვიზიტად მყოფი საზღვარგარეთის ქვეყნების უმაღლესი თანამდებობის პირების, დიპლომატიური კორპუსის, აგრეთვე საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებისა და სხვა მნიშვნელოვანი პირების დაცვითი ღონისძიებებით უზრუნველყოფა;

დ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში დასაცავ ობიექტებზე წესრიგის და უსაფრთხოების უზრუნველყოფა;

ე) საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ სხვა დასაცავ პირთა და ობიექტთა დაცვითი ღონისძიებებით უზრუნველყოფა;

ვ) დაცვის და უსაფრთხოების ღონისძიებათა სპეციალური ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოფა.

მუხლი 6

სამსახური მისთვის დაკისრებული ამოცანების შესასრულებლად:

ა) „სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ახორციელებს საქართველოს პრემიერმინისტრის, საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარისა და მათი ოჯახის წევრების, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მთავრობების და უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეების საარჩევნო კამპანიისა და არჩევნების პერიოდში საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატებისა და საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ სხვა პირთა დაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფას;

ბ) (ამოღებულია - 27.05.2014, №360);

გ) საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილების საფუძველზე, უზრუნველყოფს საზღვარგარეთის ქვეყნების უმაღლესი თანამდებობის პირების, საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებისა და საზღვარგარეთის ქვეყნების სხვა მნიშვნელოვანი პირების დაცვით ღონისძიებებს საქართველოში მათი ვიზიტის დროს;

დ) უზრუნველყოფს უსაფრთხოების ზომების მიღებას იმ ღონისძიების მოწყობის ადგილებში, რომლებშიც მონაწილეობენ დასაცავი პირები;

ე) საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული ნუსხის შესაბამისად, ახორციელებს საქართველოს ხელისუფლების უმაღლეს ორგანოთა ადმინისტრაციული შენობა-ნაგებობების, სამთავრობო რეზიდენციების, დასაცავ პირთა საცხოვრებელი სახლებისა და სხვა მნიშვნელოვანი შენობა-ნაგებობების დაცვას;

ვ) ახორციელებს დასაცავი პირების გადაადგილებისათვის განკუთვნილ სამსახურის სატრანსპორტო საშუალებათა ტექნიკური გამართულობისა და უსაფრთხოების კონტროლს;

ზ) საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული ნუსხით განსაზღვრულ ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში ნიშნავს თანამშრომლებს სამსახურის კადრში დატოვებით;

თ) უზრუნველყოფს დაცვითი ღონისძიებების განხორციელებას დასაცავი პირების გადაადგილების მუდმივ და დროებით მარშრუტებზე;

ი) თავისი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს კავშირგაბმულობის საშუალებით საიდუმლო ინფორმაციის უსაფრთხო გადაცემას, რისთვისაც თანამშრომლობს სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებსა და სხვა დაწესებულებებთან, რომლებიც აწარმოებენ სპეციალურ გამოკვლევებს აღნიშნულ სფეროში;

კ) დასაცავ პირთა ყოფნის მუდმივ და დროებით ადგილებში ახორციელებს ოპერატიულ-ტექნიკურ შემოწმებას, სამედიცინო უზრუნველყოფას კვლევის ინსტრუმენტულ-ლაბორატორიული მეთოდების გამოყენებით და დაცვის ობიექტების ხანძარსაწინააღმდეგო პროფილაქტიკურ ღონისძიებებს;

ლ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ახორციელებს ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებს, ოპერატიული მიზნებისათვის ქმნის კინოლოგიურ ბაზას და უზრუნველყოფს მის ფუნქციონირებას;

მ) განსაკუთრებულ პერიოდში, საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს დასაცავ პირთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად შეიმუშავებს და ახორციელებს სპეციალურ ღონისძიებებს;

ნ) აუცილებლობის შემთხვევაში მოიზიდავს საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამის უწყებათა ძალებსა და საშუალებებს;

ო) წყვეტს სამსახურის მაღალკვალიფიციური კადრებით დაკომპლექტების საკითხს;

პ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობს დასაცავი ობიექტების საიდუმლოების რეჟიმის დაცვის საქმიანობაში;

ჟ) უზრუნველყოფს თავისი დანაყოფების მეცნიერულ-ტექნიკურ და ინფორმაციულ-ანალიტიკური საქმიანობის ორგანიზაციას;

რ) სამსახურებრივი სპეციფიკიდან გამომდინარე, თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს ინფორმაციის მოპოვებასა და დამუშავებას, ანალიტიკურ კვლევას;

ს) კანონმდებლობით განსაზღვრული წესით ახორციელებს შეიარაღების, სპეციალური საშუალებებისა და ტექნიკის შეძენა-ექსპლუატაციას;

ტ) დაცვის ობიექტების ადმინისტრაციასთან შეთანხმებით განსაზღვრავს ამ ობიექტებზე დაშვების რეჟიმს და დაცვითი ღონისძიებების სისტემას, აგრეთვე რეკომენდაციას უწევს დაცვის ობიექტების ადმინისტრაციას მის გამგელობაში არსებული შენობა-ნაგებობის (დაცვის ობიექტი) დაცვის ტექნიკური საშუალებებით აღჭურვის თაობაზე;

უ) ტექნიკური კონტროლის საშუალებათა გამოყენებით ახორციელებს დაცვის ობიექტებზე შემსვლელ პირთა შემოწმებას;

ფ) განსაზღვრავს თავის ამოცანათა განხორციელების პრიორიტეტულ მიმართულებებს, შეიმუშავებს მუშაობის სრულყოფის მიზნობრივ კომპლექსურ პროგრამებსა და ამ პროგრამების განხორციელების სამართლებრივ, ორგანიზაციულ, ეკონომიკურ და სხვა მექანიზმებს;

ქ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში ამუშავებს დანაყოფების სტრუქტურას და საჭიროებისამებრ შეაქვს ცვლილებები საშტატო ნუსხაში;

ღ) უცხო სახელმწიფოსა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენელთა და სხვა მნიშვნელოვან პირთა საქართველოში ვიზიტის დროს გასცემს მათ თანმხლებ პირთა მიერ იარაღისა და საბრძოლო მასალის ქვეყანაში შემოტანისა და ქვეყნიდან გატანის ნებართვებს;

ყ) ახორციელებს კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 27 მაისის დადგენილება №360 – ვებგვერდი, 28.05.2014წ.
საქართველოს მთავრობის 2020 წლის 12 ივნისის დადგენილება №364 – ვებგვერდი, 15.06.2020წ.

თავი III. სამსახურის ხელმძღვანელობა და პერსონალი

მუხლი 7

1. სამსახურს ხელმძღვანელობს სამსახურის უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი.

2. სამსახურის უფროსს სპეციალურ წოდებას ანიჭებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი, გარდა უმაღლესი სპეციალური წოდებისა.

მუხლი 8

სამსახურის უფროსი:

ა) წარმოადგენს სამსახურს და კანონმდებლობით დადგენილი წესით ანიჭებს სამსახურის წარმომადგენლობის უფლებას;

ბ) ამტკიცებს სამსახურის სტრუქტურული დანაყოფების დებულებებს, სამსახურის საშტატო ნუსხას, სამსახურისა და სამსახურის სტრუქტურული დანაყოფების მიერ გამოყენებული ბეჭდების, შტამპების,

ლუქების ნიმუშებს, აგრეთვე ბლანკების ნიმუშებს ოფიციალური მიმოწერისათვის; უფლებამოსილია თავისი მმართველობის სფეროში შექმნას კომისიები, განსაზღვროს მათი მოვალეობები და საქმიანობის წესი;

გ) განსაზღვრავს სამსახურის სტრუქტურული დანაყოფების უფროსების და სხვა თანამდებობის პირების უფლებამოსილებას და სტრუქტურული დანაყოფების კონკრეტულ ამოცანებს;

დ) აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მთავრობის თავმჯდომარეებთან შეთანხმებით, თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სამსახურის შემადგენლობაში შემავალი აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების დანაყოფების უფროსებს;

ე) თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სამსახურის სტრუქტურული დანაყოფების ხელმძღვანელებსა და სხვა თანამშრომლებს;

ე[1]) (ამოღებულია - 12.06.2020, №364);

ვ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს სამსახურის სტრუქტურული დანაყოფების რეორგანიზაციას;

ზ) კანონმდებლობით დადგენილი წესით სამსახურებრივ ზედამხედველობას უწევს სამსახურის სტრუქტურული დანაყოფების და არსებობის შემთხვევაში სამსახურის მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის (პირების) საქმიანობას;

თ) გამოსცემს შესაბამის სამართლებრივ აქტებს სამსახურებრივი ზედამხედველობის განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით;

ი) დადგენილი წესით მოსამსახურეებს ანიჭებს სპეციალურ წოდებებს, სახელმწიფო დაცვის პოლკოვნიკის სპეციალური წოდების ჩათვლით, ხოლო სამხედრო სავალდებულო სამსახურში ჩარიცხულ პირს – რიგითის სამხედრო წოდებას;

კ) სათანადო დამსახურებისთვის სპეციალური წოდების მქონე პირად შემადგენლობას ვადაზე ადრე ანიჭებს მორიგ სპეციალურ წოდებებს სახელმწიფო დაცვის პოლკოვნიკის სპეციალური წოდების ჩათვლით;

ლ) წაახალისებს და დისციპლინურ პასუხისმგებლობას აკისრებს სამსახურის თანამშრომლებს, განსაზღვრავს დისციპლინური გადაცდომით სამსახურისთვის მიყენებული ზიანის (ზარალის) ანაზღაურების წესს;

მ) სამსახურის თანამშრომლებს დადგენილი წესით წარადგენს სახელმწიფო ჯილდოებზე;

ნ) აწესებს და ანიჭებს სამსახურებრივ (უწყებრივ) ჯილდოებს;

ო) განსაზღვრავს ოპერატიული საქმიანობის ძირითად მიმართულებებს, ამტკიცებს დაცვითი ღონისძიებების გეგმებს;

პ) უზრუნველყოფს თანამშრომელთა ოპერატიული, საბრძოლო და სპეციალური მომზადების ორგანიზებას, რისთვისაც ამტკიცებს შესაბამის პროგრამებს, ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრავს შესაბამის ნორმატივებსა და სახელმძღვანელო სტანდარტებს;

ჟ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, სამსახურისათვის დაკისრებული ამოცანების განხორციელების მიზნით გამოსცემს ნორმატიულ და ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს, ამტკიცებს თანამშრომელთა ეთიკის კოდექსს;

რ) კანონით დადგენილი წესით, აუცილებლობის შემთხვევაში, თავისი უფლებამოსილების ფარგლებში შესაბამის უწყებებთან შეთანხმებით გამოსცემს ერთობლივ ბრძანებებს;

ს) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით ყოველწლიურად წარადგენს ანგარიშს სამსახურიდან გასული საჯარო ინფორმაციის შესახებ;

ტ) კანონით დადგენილი წესით განკარგავს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ფულად სახსრებს და მატერიალურ ფასეულობებს;

უ) საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი წესით სამსახურისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით გასცემს სააღსრულებო ფურცელს, რომლის ფორმას ამტკიცებს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით;

ფ) სამსახურში მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მოზიდვის მიზნით დებს შრომით ხელშეკრულებებს შესაბამისი სპეციალობის მქონე პირებთან (მათ შორის სამხედრო, სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე და სამოქალაქო პირებთან), ადგენს ხელშეკრულებით მოწვეული თანამშ-რომლების პერსონალურ თანამდებობრივ განაკვეთებს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ქ) განსაზღვრავს სამსახურებრივი პირადობის დამადასტურებელი მოწმობების გაცემის, გამოყენების და ჩაბარების წესს;

ღ) კანონმდებლობით დადგენილი წესით, გასცემს იარაღის და სპეციალური საშუალებების შენახვისა და ტარების უფლებას;

ყ) სათანადო უფლებამოსილებით წარმოადგენს სამსახურს საერთაშორისო ორგანიზაციებში;

შ) პასუხისმგებელია სამსახურისთვის განსაზღვრული ამოცანების შესრულებაზე;

ჩ) ახორციელებს კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 19 თებერვლის დადგენილება №174 – ვებგვერდი, 20.02.2014წ.
საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 თებერვლის დადგენილება №63 – ვებგვერდი, 15.02.2016წ.
საქართველოს მთავრობის 2018 წლის 19 თებერვლის დადგენილება №91 - ვებგვერდი, 20.02.2018წ.
საქართველოს მთავრობის 2020 წლის 12 ივნისის დადგენილება №364 – ვებგვერდი, 15.06.2020წ.

მუხლი 9

სამსახურის უფროსის ბრძანება და დავალება სავალდებულოა შესასრულებლად სამსახურის მთელი სისტემისა და თანამდებობის პირებისათვის.

მუხლი 10

1. სამსახურის უფროსს ჰყავს ოთხი მოადგილე, რომლებსაც საქართველოს პრემიერ-მინისტრთან შეთანხმებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სამსახურის უფროსი.

2. სამსახურის უფროსის დროებით არყოფნის შემთხვევაში, მის მოვალეობას შესაბამისი ბრძანების საფუძველზე ასრულებს სამსახურის უფროსის ერთ-ერთი მოადგილე ამავე ბრძანებით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში.

3. (ამოღებულია - 12.06.2020, №364).

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 27 მაისის დადგენილება №360 – ვებგვერდი, 28.05.2014წ.
საქართველოს მთავრობის 2020 წლის 12 ივნისის დადგენილება №364 – ვებგვერდი, 15.06.2020წ.

მუხლი 11

სამსახურში, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ხელმძღვანელი თანამდებობის პირები არიან სამსახურის უფროსის მოადგილეები, სამსახურის სტრუქტურული დანაყოფების (პირველადი სტრუქტურული ერთეულების) უფროსები, მათი მოადგილეები, აღნიშნული დანაყოფების შემადგენლობაში შემავალი ქვედანაყოფების (მეორადი სტრუქტურული ერთეულების) უფროსები და საშტატო ნუსხით მათთან გათანაბრებული პირები, რომლებსაც კანონმდებლობით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სამსახურის უფროსი.

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 12 ივნისის დადგენილება №364 – ვებგვერდი, 15.06.2020წ.

მუხლი 12

სამსახურის სხვა თანამშრომლები არიან ხელმძღვანელი თანამდებობის პირების დაქვემდებარებაში მყოფი შესაბამისი სპეციალური ან სამხედრო წოდების მქონე მოსამსახურეები და სამოქალაქო პირები (ჩარიცხვის გარეშე დანიშვნით ან შრომითი ხელშეკრულებით მიღებული თანამშრომლები), რომლებსაც კანონმდებლობით დადგენილი წესით სამსახურში იღებს და სამსახურიდან ათავისუფლებს სამსახურის უფროსი.

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 19 თებერვლის დადგენილება №91 - ვებგვერდი, 20.02.2018წ.

მუხლი 13

1. სამსახურის გავლის სახეებია:

ა) საკონტრაქტო;

ბ) საკონტრაქტო-პროფესიული;

გ) კადრის;

დ) სამოქალაქო;

ე) სამხედრო სავალდებულო.

2. სამხედრო სავალდებულო, საკონტრაქტო, საკონტრაქტო-პროფესიული, კადრისა და სამოქალაქო სამსახურის გავლის წესები განისაზღვრება „სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის შესაბამისი სამართლებრივი აქტებით.

3. სამსახურში მიღების წესს განსაზღვრავს „სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი, ეს დებულება და სამსახურის უფროსის შესაბამისი სამართლებრივი აქტები.

4. სამსახურში მისაღები კანდიდატები, დადგენილი წესით, გადიან შერჩევისა და შესწავლის პროცედურას.

5. სამსახურში მისაღები კანდიდატების შერჩევისა და შესწავლის წესი განისაზღვრება სამსახურის უფროსის ნორმატიული აქტით.

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 19 თებერვლის დადგენილება №91 - ვებგვერდი, 20.02.2018წ.

თავი IV. სამსახურის სტრუქტურა და სტრუქტურული დანაყოფების ფუნქციები

მუხლი 14

1. სამსახურის სტრუქტურას შეადგენენ მისი დანაყოფები, რომლებიც თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფენ მათთვის დაკისრებული ამოცანების შესრულებას.

2. სამსახურის სტრუქტურული დანაყოფის ამოცანები, მის შემადგენლობაში არსებული სტრუქტურული ქვედანაყოფები და მათი ძირითადი საქმიანობა, ხელმძღვანელობა, ქვემდებარეობა და შენაცვლების წესი განისაზღვრება შესაბამისად ამ დებულებით, სამსახურის საშტატო ნუსხითა და სამსახურის სტრუქტურული დანაყოფის დებულებით.

მუხლი 15. სამსახურის სტრუქტურული დანაყოფებია:

ა) სამსახურის ადმინისტრაცია(დეპარტამენტი);

ბ) სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტი;

გ) პირადი დაცვის დეპარტამენტი;

დ) განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების დაცვის დეპარტამენტი;

ე) ოპერატიული დეპარტამენტი;

ვ) ოპერატიულ-ტექნიკური დეპარტამენტი;

ზ) გენერალური ინსპექცია (დეპარტამენტი);

თ) ეკონომიკური დეპარტამენტი;

ი) სპეციალური დანიშნულების დეპარტამენტი;

კ) ესკორტირების მთავარი სამმართველო;

ლ) სამედიცინო მთავარი სამმართველო;

მ) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავარი სამმართველო;

ნ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავარი სამმართველო.

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 8 ნოემბრის დადგენილება №287 – ვებგვერდი, 08.11.2013წ.
საქართველოს მთავრობის 2013 წლის 15 ნოემბრის დადგენილება №293 - ვებგვერდი, 15.11.2013წ.
საქართველოს მთავრობის 2014 წლის 27 მაისის დადგენილება №360 – ვებგვერდი, 28.05.2014წ.
საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 თებერვლის დადგენილება №63 – ვებგვერდი, 15.02.2016წ.
საქართველოს მთავრობის 2020 წლის 12 ივნისის დადგენილება №364 – ვებგვერდი, 15.06.2020წ.

მუხლი 16

1. სამსახურის ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) ძირითადი ამოცანებია:

ა) სამსახურის ხელმძღვანელობის საკადრო პოლიტიკის განხორციელების მეთოდოლოგიური ხელმძღვანელობა და კოორდინაცია;

ბ) სამსახურში მისაღები კანდიდატების დადგენილი წესით შერჩევა და სამსახურის სტრუქტურული დანაყოფების მაღალკვალიფიციური კადრებით დაკომპლექტების ხელშეწყობა;

გ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში, სამსახურის თანამშრომელთა პირადი საქმეების შედგენა და წარმოება, კანონმდებლობით დადგენილი წესით, სპეციალური შემოწმების ღონისძიებათა განხორციელება, სპეციალურ შემოწმებასა და სამსახურებრივი მიზნებისთვის სახელმწიფო საიდუმლოებაზე პირთა დაშვებასთან დაკავშირებით შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადება, განხილვა და სისტემატიზაცია;

დ) თანამშრომელთა პირადი შემადგენლობის მიერ სამსახურის გავლასთან დაკავშირებით სამსახურის უფროსის ბრძანებათა პროექტების მომზადება;

ე) თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, სამსახურის საატესტაციო კომისიის საქმიანობის ხელშეწყობა და კანონმდებლობით დადგენილი წესით ატესტაციის ჩატარების უზრუნველყოფა;

ვ) სამსახურის სისტემის თანამშრომელთა პროფესიული განვითარების პროცესის, მათ შორის, მოსამსახურეთა თანამდებობრივი გადაადგილებებისა და პროფესიულ სწავლებებზე წარდგინებების დადგენილი სტანდარტების მიხედვით წარმართვაზე კონტროლისა და საერთო კოორდინაციის განხორციელება;

ზ) სამსახურის სისტემაში საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და პროფესიული სტანდარტების შემუშავების ორგანიზაციული უზრუნველყოფა;

თ) სამსახურის მმართველობის სფეროში შემავალი ორგანოების საკადრო მუშაობის მეთოდური კოორდინაცია;

ი) თავისი კომპეტენციის ფარგლებში, კომპლექსური სასწავლო-საწვრთნელი პროგრამების შემუშავება და განხორციელება, შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ფუნქციონირება;

კ) სამსახურის უფროსის მიერ დამტკიცებული სტანდარტების, პროფესიული სასწავლო გეგმებისა და პროგრამების მიხედვით სწავლებაზე წარდგენილ პირთა ფიზიკური, საცეცხლე, ტაქტიკური და საბრძოლო მომზადების უზრუნველყოფა, შესაბამისი თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობების ჩატარება, ეტაპობრივი ან/და შემაჯამებელიტესტებისა და ნორმატივების ჩაბარების უზრუნველყოფა;

ლ) სამსახურის კომპეტენციის ფარგლებში, საქართველოს პარტნიორი ქვეყნებისა და ორგანიზაციების შესაბამის სამსახურებთან ურთიერთობისა და თანამშრომლობის ორგანიზაციულ საკითხთა უზრუნველყოფა;

მ) სამსახურის კომპეტენციის ფარგლებში, ღია საინფორმაციო საშუალებებთან ურთიერთობისა და სტრატეგიული კომუნიკაციის საკითხების რეგულირება;

ნ) სამსახურის უფროსის საჯარო გამოსვლების, მოხსენებებისა და სამსახურის მიერ განსახორციელებელი წარმომადგენლობითი ღონისძიებების ორგანიზაციული და საპროტოკოლო უზრუნველყოფა;

ო) თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, სამსახურის ოფიციალური ვებგვერდის მართვა და მასზე შესაბამისი ინფორმაციისგანთავსების უზრუნველყოფა.

2. სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის ძირითადი ამოცანებია:

ა) სამსახურის ხელმძღვანელობისა და სამსახურის სტრუქტურული დანაყოფების საქმიანობის სამართლებრივი უზრუნველყოფა, შესაბამისი სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება და სათანადო მსვლელობის მიცემა;

ბ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში, სამსახურის სისტემაში მომზადებული დოკუმენტების სამართლებრივ აქტებთან შესაბამისობის კონტროლი, სათანადო რეკომენდაციების შემუშავება და კონსულტაციების გაწევა;

გ) სამართლებრივ საკითხებზე სამსახურის სტრუქტურული დანაყოფებისა და სამსახურის მმართველობის სფეროში შემავალი ორგანოების საქმიანობის მეთოდური კოორდინაცია;

დ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში, სამსახურში შემოსული ნორმატიული აქტებისა და სხვა სამართლებრივი შინაარსის დოკუმენტების პროექტების განხილვა და სათანადო დასკვნების/წინადადებების მომზადება;

ე) საქართველოს პარლამენტთან სამსახურის სამართლებრივი ურთიერთობების წარმართვა, სასამართლო ორგანოებსა და სხვა სახელმწიფო დაწესებულებებში, აგრეთვე კერძო სუბიექტებთან სამართლებრივ ურთიერთობებში სამსახურის ინტერესების წარმოდგენა სამსახურის უფროსის დავალების ან/და შესაბამისი ოფიციალური მინდობილობის საფუძველზე;

ვ) სამსახურის სტრუქტურული დანაყოფებისა და სამსახურის მმართველობის სფეროში შემავალი ორგანოების საქმიანობის ორგანიზაციულ-სამართლებრივი მხარდაჭერა, სამსახურის უფროსის გადაწყვეტილების საფუძველზე კონკრეტული საკითხების დამუშავებაში ჩართულობა, სამსახურის სისტემაში შექმნილი კომისიების/სამუშაო ჯგუფების საქმიანობის წარმართვა ან/და მასში მონაწილეობის მიღება;

ზ) სამსახურის კომპეტენციაში შემავალ საკითხებთან დაკავშირებით, საჯარო და კერძო სამართლის სუბიექტებთან, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, საქართველოს პარტნიორი ქვეყნებისა და ორგანიზაციების შესაბამის ორგანოებთან სამსახურის ურთიერთთანამშრომლობის პირობების

წინასწარი სამართლებრივი შეფასება და სამართლებრივი რეგლამენტაცია დეპარტამენტის კომპეტენციის ფარგლებში, სათანადო დოკუმენტების (მემორანდუმი, ხელშეკრულება და სხვა) პროექტების განხილვა და მომზადება;

თ) სამსახურის სისტემაში საიდუმლო საქმისწარმოების მდგომარეობის კონტროლი, საიდუმლო-სარეჟიმო ნორმების დაცვისა და საქმისწარმოების საერთო წესების დამკვიდრების სამართლებრივი და ორგანიზაციული უზრუნველყოფა, შესაბამისი შემოწმებების ჩატარება და რეკომენდაციების გაცემა, სამსახურის ცენტრალური კანცელარიის (საქმისწარმოების), საუწყებო და ოპერატიული არქივების მართვა-ფუნქციონირება, საიდუმლო და არასაიდუმლო საქმისწარმოების საკითხებში სამსახურის სტრუქტურული დანაყოფებისა და სამსახურის მმართველობის სფეროში შემავალი ორგანოების მეთოდური კოორდინაცია;

ი) სამსახურის სისტემაში სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაკავშირებული საქმიანობის ნებართვების კანონმდებლობით დადგენილი წესით მიღების/განახლების ორგანიზაციულ-სამართლებრივი უზრუნველყოფა, სახელმწიფო საიდუმლოებაზე დაშვებასთან დაკავშირებით სამსახურის სტრუქტურულ დანაყოფებსა და სამსახურის მმართველობის სფეროში შემავალ ორგანოებში განსახორციელებელი ღონისძიებების საერთო კოორდინაცია;

კ) საქართველოს აეროპორტების შეზღუდული დაშვების ზონებში, კანონმდებლობით დადგენილი წესით, სამსახურის სისტემის თანამშრომელთა დაშვებასთან დაკავშირებით საჭირო ორგანიზაციული ღონისძიებების განხორციელება;

ლ) უცხო სახელმწიფოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლების, აგრეთვე სხვა მნიშვნელოვანი პირების საქართველოში ვიზიტის დროს მათ უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირების მიერ იარაღისა და საბრძოლო მასალის საქართველოში შემოტანის, გადაადგილებისა და ქვეყნიდან გატანის სპეციალური ნებართვების გაცემის ორგანიზაციულ-სამართლებრივი უზრუნველყოფა და სათანადო რეესტრის წარმოება;

მ) საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების, ხელმისაწვდომობისა და მოქალაქეთა მიღების ორგანიზაციული უზრუნველყოფა;

ნ) სამსახურის ანგარიშებისა და სამართლებრივ საკითხებზე სამსახურის უფროსის მოხსენებების მომზადება.

3. პირადი დაცვის დეპარტამენტის ძირითადი ამოცანებია:

ა) საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის, საქართველოს პრემიერ-მინისტრისა და მათი ოჯახების წევრების დაცვისა და უსაფრთხოების ღონისძიებების განხორციელება;

ბ) საქართველოს პრეზიდენტისა და მისი ოჯახის წევრების, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარისა და მისი ოჯახის წევრების, საქართველოს პრემიერ-მინისტრისა და მისი ოჯახის წევრებისუსაფრთხო ევაკუაცია მათი სიცოცხლისა და ჯანმრთელობის მიმართ საფრთხის არსებობის შემთხვევაში;

გ) „სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტით დამტკიცებული ნუსხით გათვალისწინებულ სამსახურის სხვა დასაცავ პირთა დაცვისა და უსაფრთხოების ღონისძიებების უზრუნველყოფა;

დ) იმ პირთა დაცვითი ღონისძიებებით უზრუნველყოფა, რომელთა პერსონალური დაცვის თაობაზე მიიღება გადაწყვეტილება კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ე) საქართველოში ვიზიტად მყოფი უცხო ქვეყნების სახელმწიფო მეთაურებისა და განსაკუთრებით მნიშვნელოვანი პირების დაცვითი ღონისძიებებით უზრუნველყოფა;

ვ) დასაცავი პირების სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემცველ ვითარებაში მათი უსაფრთხო ევაკუაციის უზრუნველყოფა.

4. განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების დაცვის დეპარტამენტის ძირითადი ამოცანებია:

ა) თავისი კომპეტენციის ფარგლებში, საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტით დამტკიცებული ნუსხით განსაზღვრული სახელმწიფოს განკარგულებაში არსებული შენობა-ნაგებობების, მათ შორის, საქართველოს საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების ადმინისტრაციული შენობებისა და სხვა მნიშვნელოვანი ობიექტების დაცვითი ღონისძიებების განხორციელება;

[ა) თავისი კომპეტენციის ფარგლებში, საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტით დამტკიცებული ნუსხით განსაზღვრული, სახელმწიფოს განკარგულებაში არსებული შენობა-ნაგებობების, მათ შორის, საქართველოს საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების ადმინისტრაციული შენობებისა და სხვა მნიშვნელოვანი ობიექტების, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური წარმომადგენლობების და წარმომადგენლობების ხელმძღვანელების რეზიდენციების (გარდა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მდებარე რეზიდენციებისა) დაცვითი ღონისძიებების განხორციელება; (***ამოქმედდეს 2024 წლის 1 იანვრიდან)***]

ბ) დაცვის ობიექტებზე სასაშვო რეჟიმისა და საკონტროლო-გამშვებ პუნქტებზე წესრიგის უზრუნველყოფა;

გ)თავისი კომპეტენციის ფარგლებში, დასაცავი პირების ხშირი მონახულების ობიექტებზე სახანძრო პროფილაქტიკური ღონისძიებების განხორციელებაზე კონტროლის ორგანიზება და სახელმწიფო ხანძარსაწინააღმდეგო ზედამხედველობის ორგანოების წარმომადგენლებთან ერთად სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულებაზე კონტროლის ღონისძიებებში მონაწილეობა;

დ) ოპერატიული ინფორმაციის ან/და სხვა ობიექტური წინაპირობების საფუძველზე, დასაცავი პირების დროებითი სამყოფლის დაცვითი ღონისძიებების განხორციელება.

5. ოპერატიული დეპარტამენტის ძირითადი ამოცანებია:

ა) საქართველოს უმაღლესი პოლიტიკური თანამდებობის პირების და მათი ოჯახის წევრების პერსონალური უსაფრთხოების ღონისძიებების ოპერატიული უზრუნველყოფა მათ მუდმივ და დროებით სამუშაო და საცხოვრებელ ადგილებზე, გადაადგილების მარშრუტებსა და მონახულების ობიექტებზე, აგრეთვე სამსახურის სხვა შესაბამის დასაცავ პირთა უსაფრთხოების ღონისძიებათა ოპერატიული უზრუნველყოფა;

ბ) ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების განხორციელება საქართველოს უმაღლესი პოლიტიკური თანამდებობის პირების, მათი ოჯახის წევრების, სამსახურის სხვა შესაბამისი დასაცავი პირებისა და დაცვის ობიექტების მიმართ შესაძლო მართლსაწინააღმდეგო ქმედებების პროფილაქტიკის, ადრეულ ეტაპზე გამოვლენისა და დროული რეაგირების მიზნით;

[ბ) ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების განხორციელება საქართველოს უმაღლესი პოლიტიკური თანამდებობის პირების, მათი ოჯახის წევრების, სამსახურის სხვა შესაბამისი დასაცავი პირებისა და დაცვის ობიექტების, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური წარმომადგენლობების და წარმომადგენლობების ხელმძღვანელების რეზიდენციების მიმართ შესაძლო მართლსაწინააღმდეგო ქმედებების პროფილაქტიკის, ადრეულ ეტაპზე გამოვლენისა და დროული რეაგირების მიზნით; ***(ამოქმედდეს 2024 წლის 1 იანვრიდან)***]

გ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში, სპეციალური (ლიტერული) რეისების მომზადების ოპერატიული უზრუნველყოფა;

დ) დეპარტამენტში შემოსული ოპერატიული ინფორმაციის ანალიზი და სისტემატიზაცია, ოპერატიული ვითარების პროგნოზირება, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, დაცვითი ღონისძიებების უზრუნველსაყოფად საჭირო სხვა ოპერატიულ ღონისძიებათა განხორციელება;

ე) სამსახურის დასაცავი პირებისა და დაცვის ობიექტების დაცვით ღონისძიებათა დაგეგმვის უზრუნველყოფა;

ვ) საქართველოს ტერიტორიაზე დასაცავ პირთა ხშირი მონახულების ობიექტების უსაფრთხოების დაცვით ღონისძიებათა მუდმივმოქმედი გეგმებით უზრუნველყოფა;

ზ) დაცვითი ღონისძიების მომზადებისას და განხორციელებისას, რადიოეთერის მეშვეობით, სამსახურის სტრუქტურულ დანაყოფებს შორის ინფორმაციის დროული გაცვლისა და ურთიერთქმედების კოორდინაციის უზრუნველყოფა, დაცვითი ღონისძიებების ოპერატიული მართვის ცენტრის ფუნქციონირება.

6. ოპერატიულ-ტექნიკური დეპარტამენტის ძირითადი ამოცანებია:

ა) სამსახურის დასაცავ პირებთან და დაცვის ობიექტებზე, მოთხოვნის შემთხვევაში, ინფორმაციის გაჟონვის ტექნიკური საშუალებებისა და მოწყობილობების გამოვლენის, აღკვეთისა და პროფილაქტიკის უზრუნველყოფა;

ბ) დაცვის ობიექტების, აგრეთვე დასაცავი პირების მონახულების ობიექტებისა და გადაადგილების მარშრუტების დათვალიერება ასაფეთქებელი ნივთიერებებისა და მოწყობილობების აღმოჩენის მიზნით;

გ) კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების განხორციელება ტექნიკური საშუალებების გამოყენებით;

დ) სამსახურის სტრუქტურული დანაყოფების ღია და დახურული რადიოკავშირებით უზრუნველყოფა;

ე) სამსახურის სტრუქტურული დანაყოფების საერთო მოხმარების საკაბელო-სატელეფონო კავშირით უზრუნველყოფა, თავისი კომპეტენციის ფარგლებში;

ვ) სამსახურის კუთვნილი კავშირის სისტემებისა და საშუალებების ექსპლუატაციის, აგრეთვე მათი ფუნქციონირების ხარისხის გასაუმჯობესებელი სამუშაოების უზრუნველყოფა;

ზ) სამსახურის კინოლოგიური ბაზის ფუნქციონირების უზრუნველყოფა.

7. გენერალური ინსპექციის (დეპარტამენტი) ძირითადი ამოცანებია:

ა) სამსახურის საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველყოფა;

ბ) მოსამსახურეთა შესაძლო კანონსაწინააღმდეგო კონტაქტების, აგრეთვე ისეთი კავშირების გამოვლენა და შესწავლა, რომლებიც შესაძლოა, არასასურველ ზემოქმედებას ახდენდეს პირად შემადგენლობაზე;

გ) სამსახურის სტრუქტურული დანაყოფების მუშაობის ინსპექტირება;

დ) დაცვითი ღონისძიებების განხორციელებისას განაწესების მიმდინარეობის კონტროლი;

ე) გამოვლენილ დარღვევებზე, აგრეთვე სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს მოსამსახურეების მიერ შესაძლო ზიანის მიყენების ფაქტებზე სამსახურებრივი შემოწმების ჩატარება;

ვ) სადისციპლინო მოთხოვნების შესრულების მდგომარეობის კონტროლი.

8. ეკონომიკური დეპარტამენტის ძირითადი ამოცანებია:

ა) სამსახურის დასაცავი პირებისა და დაცვის ობიექტების უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით განხორციელებული ღონისძიებების მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსური უზრუნველყოფა;

ბ) სამსახურის სტრუქტურული დანაყოფების მატერიალური საშუალებებით უზრუნველყოფა;

გ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში, სამსახურის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფისა და

განვითარების ღონისძიებების განხორციელება;

დ) სამსახურის ბალანსზე რიცხული ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური გამართულობის უზრუნველყოფა;

ე) სამსახურის ბალანსზე რიცხული შენობა-ნაგებობების დაპროექტების, მშენებლობის, მიმდინარე კაპიტალური შეკეთებისა და სარეკონსტრუქციო სამუშაოების ორგანიზება და მათი ტექნიკური ზედამხედველობა;

ვ) სამსახურის საქმიანობის ფინანსური უზრუნველყოფა;

ზ) სამსახურის ერთიანი ბიუჯეტის პროექტის შემუშავება;

თ) საბუღალტრო აღრიცხვისა და ხარჯთა ნუსხის შედგენა;

ი) სამსახურის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის მიზნით სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების უზრუნველყოფა;

კ) სამსახურის უფროსის სხვა შესაბამისი დავალებების შესრულება.

9. სპეციალური დანიშნულების დეპარტამენტის ამოცანებია:

ა) დაცვითი ღონისძიებების გეგმების შესაბამისად, დასაცავ პირთა სამუშაო და დროებით ადგილსამყოფელზე, აგრეთვე მათი გადაადგილების მარშრუტებზე უსაფრთხოების უზრუნველყოფა;

ბ) დასაცავი პირებისა და დაცვის ობიექტების უსაფრთხოების ღონისძიებათა საბრძოლო ძალით უზრუნველყოფა, მათ წინააღმდეგ შესაძლო მართლსაწინააღმდეგო ქმედებების სპეციალური ღონისძიებებით ნეიტრალიზება;

გ) მუდმივი საბრძოლო მზადყოფნის მდგომარეობის შენარჩუნება.

10. ესკორტირების მთავარი სამმართველოს ამოცანებია:

ა) ქვეყნის ტერიტორიაზე საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი რანგის თანამდებობის პირების ავტოტრანსპორტით უსაფრთხო და შეუფერხებელი გადაადგილების უზრუნველყოფა;

ბ) მიღებული დავალებისა და დაცვითი ღონისძიებების გეგმების შესაბამისად, სამსახურის სხვა დასაცავ პირთა ავტოტრანსპორტით უსაფრთხო და შეუფერხებელი გადაადგილების უზრუნველყოფა;

გ) დაცვითი ღონისძიებების გეგმების შესაბამისად, დასაცავ პირთა გადაადგილების მუდმივ და დროებით მარშრუტებზე დაცვითი ღონისძიებების უზრუნველყოფა.

11. სამედიცინო მთავარი სამმართველოს ძირითადი ამოცანებია:

ა) საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი რანგის თანამდებობის პირების სამედიცინო დახმარებით უზრუნველყოფა საქართველოს ტერიტორიაზე და მის ფარგლებს გარეთ;

ბ) სხვა დასაცავი პირების სამედიცინო დახმარებით უზრუნველყოფა;

გ) სამსახურის თანამშრომლების სამედიცინო დახმარებით უზრუნველყოფა; კანონმდებლობით დადგენილი წესით, სპეციალური საექიმო კომისიის მიერ შემოწმების ორგანიზება და განხორციელება;

დ) დასაცავი პირის მონახულების ობიექტზე, აგრეთვე დაცვის ობიექტზე სანიტარიულ-ჰიგიენური და სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური წესების დაცვის კონტროლის უზრუნველყოფა;

ე) სამსახურის ბალანსზე არსებულ ობიექტებზე წინასწარი და მიმდინარე სანიტარიულ-

ეპიდემიოლოგიური ზედამხედველობის განხორციელება.

12. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავარი სამმართველოს ძირითადი ამოცანაა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების ხელმძღვანელებისა და ამ ორგანოების ადმინისტრაციული შენობების დაცვითი ღონისძიებებით უზრუნველყოფა საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული ნუსხის შესაბამისად.

13. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავარი სამმართველოს ძირითადი ამოცანებია:

ა) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების ხელმძღვანელების პირადი დაცვით უზრუნველყოფა;

ბ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მდებარე სამსახურის დაცვის ობიექტების დაცვითი ღონისძიებებით უზრუნველყოფა;

[ბ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მდებარე სამსახურის დაცვის ობიექტების, მათ შორის, დიპლომატიური წარმომადგენლობების და წარმომადგენლობების ხელმძღვანელთა რეზიდენციების დაცვითი ღონისძიებებით უზრუნველყოფა; ***(ამოქმედდეს 2024 წლის 1 იანვრიდან)***]

გ) განსახორციელებელი დაცვითი ღონისძიებების ოპერატიული და ოპერატიულ-ტექნიკური უზრუნველყოფა;

დ) სამსახურის უფროსის მიერ დამტკიცებული გეგმების შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე სამსახურის დასაცავი პირების დაცვითი ღონისძიებებით უზრუნველყოფა ან აღნიშნულ ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება;

ე) თავისი კომპეტენციის ფარგლებში, სამსახურის უფროსის შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე, სხვა დაცვით ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება ან მათი უზრუნველყოფა.

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 8 ნოემბრის დადგენილება №287 – ვებგვერდი, 08.11.2013წ.
საქართველოს მთავრობის 2013 წლის 15 ნოემბრის დადგენილება №293 - ვებგვერდი, 15.11.2013წ.
საქართველოს მთავრობის 2014 წლის 27 მაისის დადგენილება №360 – ვებგვერდი, 28.05.2014წ.
საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 თებერვლის დადგენილება №63 – ვებგვერდი, 15.02.2016წ.
საქართველოს მთავრობის 2020 წლის 12 ივნისის დადგენილება №364 – ვებგვერდი, 15.06.2020წ.
საქართველოს მთავრობის 2023 წლის 23 ოქტომბრის დადგენილება №418 – ვებგვერდი, 23.10.2023წ.

მუხლი 17

1. სამსახურის ძალები და საშუალებები, ამ დებულებით განსაზღვრული ძირითადი ფუნქციების გათვალისწინებით, სამსახურის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, შეიძლება კონცენტრირებულ იქნეს სამსახურის კომპეტენციაში შემავალი კონკრეტული ამოცანის ან ღონისძიების განხორციელების მიზნით.

2. საჭიროების შემთხვევაში, სამსახურის სტრუქტურული დანაყოფების და მათი ქვედანაყოფების ხელმძღვანელები უფლებამოსილი არიან დაქვემდებარებული ქვედანაყოფების ძალები და საშუალებები გადაანაწილონ ცალკეული ქვედანაყოფის მიერ მისთვის დაკისრებული ამოცანის დროულად და სრულყოფილად განხორციელების მიზნით, კანონმდებლობის შესაბამისად.

3. დაცვითი ღონისძიების ერთობლივად ჩატარების ეფექტიანობის მიზნით, სამსახურის შესაბამისი სტრუქტურული დანაყოფები კოორდინაციას უწევენ აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მთავარი სამმართველოების შესაბამისი ქვედანაყოფების საქმიანობას.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 27 მაისის დადგენილება №360 – ვებგვერდი, 28.05.2014წ.

მუხლი 18

ამ დებულებაში ცვლილებების შეტანა, სამსახურის ლიკვიდაცია ან რეორგანიზაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.